

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

ეთნომუსიკოლოგიის მიმართულება

ახალგაზრდა ეთნომუსიკოლოგთა რესპუბლიკური სამეცნიერო  
კონფერენცია

ეძღვნება დიმიტრი არაყიშვილის დაბადებიდან 150-ე წლისთავს

პროგრამა და თეზისები

19 მაისი, 2023

## პროგრამა

11:00 – ნატალია ზუმბაძე (კონფერენციის სამეცნიერო ხელმძღვანელი)

კონფერენციის გახსნა

11:15 – ეკატერინე ყაზარაშვილი

ქრისტიანობის საგალობლები აღმოსავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიციაში

11:45 – კობა დევდარიანი

სვანური „ზარის“ შესრულების საკითხისათვის

12:15 – ანნა ნიკოლოზიშვილი

კილო-ჰარმონიული სივცხადე წირვის ოთხი კრებულის ანალიზზე დაყრდნობით

12:45 – მონაზონი ნინო სამხარაძე

„შეხვეტილიანის“ „მოგზაური ჰანგები“

13:15-14:00 – შესვენება

14:00 – მარიამ დუმბაძე

ქალთა რეპერტუარი გურულ მუსიკალურ ფოლკლორში

14:30 – ლუკა სამხარაძე

ჩემი სოფლის სიმღერა

15:00 – ნინო კერესელიძე

სოფელი რგანი და რგანული სიმღერები

15:30 – ბესიკ მახათაძე

ლიტურგიკული კითხვის ხელოვნება ქართულ საღვთისმსახურო პრაქტიკაში

## თეზისები

### ეკატერინე ყაზარაშვილი

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია,

სადოქტორო პროგრამა *სამუსიკისმცოდნეო კვლევები*,

სპეციალობა *საეკლესიო მუსიკოლოგია*.

ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. თამარ ჩხეიძე

### ქრისტეშობის საგალობლები აღმოსავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიციაში

ქრისტეშობა ერთ-ერთი უდიდესი საუფლო დღესასწაულია. ქრისტეშობის ღვთისმსახურება გამოირჩევა საგალობლების სიმრავლითა და მრავალფეროვნებით, რომელთა შესახებ, გარდა ძველი ლიტურგიკული კრებულებისა, XIX-XX საუკუნეების სანოტო ხელნაწერებიდან ვიგებთ. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში ქრისტეშობის საგალობლების ნოტებზე გადატანა თითქმის 40 წლის მანძილზე მიმდინარეობდა. საგალობელთა გადმომცემი და ჩამწერი ხშირად სხვადასხვა პირი იყო. ჩემს კვლევებზე და გამოქვეყნებულ სამგალობლო კრებულებზე დაყრდნობით შემიძლია ვთქვა, რომ დასავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიციაში ქრისტეშობის მსახურების საგალობლები შემონახულია სრულად, აღმოსავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიციაში კი ეს მასალა სრულად შესწავლილი, სისტემატიზებული და გამოქვეყნებული არ არის. სწორედ ამ საკითხის კვლევას ეძღვნება ჩემი მოხსენება. მასში წარმოდგენილი იქნება XIX-XX საუკუნეების სხვადასხვა პერიოდის მგალობელთა და ჩამწერთა მიერ ფიქსირებული და გამოქვეყნებული ქართლ-კახური ქრისტეშობის საგალობლების კვლევის შედეგები. ეს სრულ სურათს შექმნის ქართულ სამგალობლო ტრადიციაში ქრისტეშობის სადღესასწაულო საგალობლების მემკვიდრეობის შესახებ.

## კობა დევდარიანი

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია,  
სამაგისტრო პროგრამა *მუსიკისმცოდნეობა*,  
სპეციალობა *ეთნომუსიკოლოგია*.  
ხელმძღვანელი: პროფესორი ნატალია ზუმბაძე.

### სვანური „ზარის“ შესრულების საკითხისათვის

გლოვის „ზარს“ სვანურ ყოფაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მისი თანხლების გარეშე მიცვალებულის დამარხვის შემთხვევა ძალიან იშვიათია. თუ მოზარეები გარდაცვლილის სოფელში არ არიან, ჭირისუფალს ისინი სხვა სოფლიდან მოჰყავს.

სვანური „ზარის“ შესახებ ბევრი წერილობითი ცნობა არსებობს, თუმცა არის დეტალები, რომლებზეც აქამდე არაფერი თქმულა. ჩვენი კვლევის ერთ-ერთი მიზანი სწორედ ამ დანაკლისის შევსებაა, რაც მნიშვნელოვანია, მით უფრო, იმის გათვალისწინებით, რომ გლოვის ჰიმნი დანახულია არა გარედან, გარეშე პირის მხრიდან, არამედ – რიტუალის შიგნიდან, მისი უშუალო მონაწილის, სვანი მოზარის მხრიდან.

მოხსენებაში განხილულია „ზარის“ ადგილი გლოვის რიტუალში და მიცვალებულის „ზარით“ დამარხვის მნიშვნელობა სვანებისათვის; საუბარია „ზარის“ კავშირზე საიქიოსთან და დამოწმებულია მის თქმასთან დაკავშირებული შემთხვევა, რომელიც შემდგომ სვანურ ტოპონიმიკაში აისახა. კვლევას საინტერესოს ხდის ას წელს მიღწეული სვანი ეთნოფორისგან ჩვენ მიერ ჩაწერილი გადმოცემა.

**ანა ნიკოლოზიშვილი**

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია,

საბაკალავრო პროგრამა *მუსიკის თეორია*.

ხელმძღვანელი: ასოც. პროფესორი თამარ ჩხეიძე.

### **კილო-ჰარმონიული სივრცეში წირვის ოთხი კრებულის ანალიზზე დაყრდნობით**

ძველი პროფესიული მუსიკის კილო-ჰარმონიული საკითხების კვლევა დღევანდელი ქართული მუსიკოლოგიის ერთ-ერთი გამოწვევაა. მოხსენებაში განხილულია ზოგადქრისტიანული ღვთისმსამსახურებებიდან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მუსიკალურ-ლიტურგიკული ციკლის – წირვის საგალობლები. სხვადასხვა წყაროს შორის ჩვენი კვლევისთვის ავარჩიეთ ოთხი კრებული: ექვთიმე კერესელიძის, რაჭდენ ხუნდაძის, ფილიმონ კარბელაშვილის და ანდრია მრევლიშვილის მიერ ჩაწერილი წირვის საგალობლები. კილოს თვისებების გამოვლენისთვის ჩავატარეთ წირვის მდგრადი და ცვალებადი საგალობლების მელოდიკისა და ჰარმონიის ანალიზი. მიღებული შედეგების საფუძველზე ვეცდებით პასუხი გავცეთ კითხვას, თუ რამდენად სტაბილურია კილო წირვის, ანუ იმ მსახურების საგალობლებში, რომელიც ყოველდღიურად სრულდება და სხვა მსახურებებთან შედარებით უფრო მყარი სტრუქტურა გააჩნია. წირვის საგალობლების მელოდიური ანალიზი აკინძვის პრინციპის განხილვას ითხოვს. ამავდროულად, აუცილებელი ხდება მელოდიურ ფორმულებზე აგებულ საგალობლებში ფორმულბრივი კილოს არსებობის და ჰარმონიულ სისტემაზე მისი ზეგავლენის საკითხების დაზუსტება.

წირვის საგალობლების ანალიზით დანახული მოვლენები ქართულ საგალობლებში მოქმედი მუსიკალური სისტემის და მისი ჰარმონიული თვისებების გაგებას უზრუნველყოფს. ამ ტიპის თეორიული განხილვა ძველი ქართული პროფესიული მუსიკის ზოგადქრისტიანული მუსიკალური ტრადიციის ჭრილში აღქმისკენ მიმავალ ეტაპს წარმოადგენს.

## მონაზონი ნინო სამხარაძე

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია,

სადოქტორო პროგრამა სამუსიკისმცოდნეო კვლევები,

სპეციალობა საეკლესიო მუსიკოლოგია.

ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. თამარ ჩხეიძე

### „შეხვეტილიანის“ „მოგზაური ჰანგები“

„შეხვეტილიანი“, იგივე ვნების პარასკევის მუსიკალური ციკლი, ჰანგთა მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რაც საკმაოდ უცნაურია და განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, ვინაიდან ჰანგების ასეთი რაოდენობა და მრავალგვარობა სხვა მუსიკალურ ციკლებს არ ახასიათებს. ციკლში 33 ჰანგია, როგორც ჩანს, სიმბოლურად მაცხოვრის ასაკის ხაზგასასმელად. „შეხვეტილიანის“ ქართული ვერსია ბერძნულს არ მისდევს და იმით განსხვავდება, რომ ბერძნულში თვითავაჯი ძლისპირები (მსახურებისთვის საგანგებოდ შექმნილი ჰანგები) იგალობება, ხოლო ქართულში – არა ორიგინალური, არამედ ქართველთათვის ძველთაგან ცნობილი საგალობლები. ამ ტრადიციას სათავე „შეხვეტილიანის“ ტექსტის მთარგმნელმა და რედაქტორმა, უდიდესმა ქართველმა ჰიმნოგრაფმა, წმიდა გიორგი მთაწმინდელმა დაუდო. იგი განგებაზე დართულ ანდერძ-მინაწერში აღნიშნავს, რომ „ბერძნულში თვითავაჯნია და მათ იციან, ხოლო ჩვენ თუმცა ავაჯი დაგვედვა ვინლა დაისწავლიდა“-ო. ე.ი. შესაძლოა ათონზე ვეღარ მოეძებნა ახალი საგალობლების სწავლის მსურველი, ვინც ჰანგებს საქართველომდე ჩამოიტანდა. ამიტომაც, წმიდა მამამ განგება თავადვე შეამკო ქართველებისთვის ნაცნობი ჰიმნებით, რომლებიც ტექსტში ინციპიტებად, დედან-ჰანგების სახით მიუთითა. ასე აღმოჩნდა „შეხვეტილიანში“ ერთად თავმოყრილი სხვადასხვა მსახურებისა და ლიტურგიკული ფუნქციის მქონე საგალობლები. კერძოდ, აქ გვხვდება ძლისპირები მარხვანიდან, პარაკლიტონიდან, თვენიდან; საუფლო დღესასწაულების – ფერისცვალების, ნათლისღების, ღვთისმშობლის შობისა და მიძინების კატავასიები, ძლისპირები წესის აგებიდან და დიდი პანაშვიდიდან; ტროპრის მე-8 ხმა, დასდებლის მე-2 და მე-8 ხმები, ტროპარ-დასდებლის მე-6 ხმა. მელოდიური ფონდის მრავალფეროვნების თვალსაზრისით, ლიტურგიკულ პრაქტიკაში „შეხვეტილიანს“ ანალოგი, მართლაც, არ მოეპოვება.

წინამდებარე მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება ის საზიარო ჰანგები, რომელთაგან ნაწილი „შეხვეტილიანში“ სხვა განგებიდან გადმოვიდა, ნაწილი კი პირიქით. აქვე განვიხილავთ ჰანგთა „მოგზაურობის“ მიზეზებსაც, რომლებიც შესაძლოა კავშირში იყოს განგებათა საერთო საღვთისმეტყველო არსთან. კვლევის შედეგები საშუალებას მოგვცემს, ახლოდან დავინახოთ წმიდა გიორგი მთაწმინდელის მუშაობის ის ურთულესი პროცესი, რომელიც მან „შეხვეტილიანის“ განგების ქართული ვარიანტის შექმნისას გაიარა.

**მარიამ დუმბაძე**

გიორგი მთაწმინდელის სახელობის

საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებელი,

საბაკალავრო პროგრამა.

თემის ხელმძღვანელი: ასოც. პროფესორი თეონა რუხაძე.

### **ქალთა რეპერტუარი გურულ მუსიკალურ ფოლკლორში**

გურულ მუსიკალურ დიალექტს ქართულ მუსიკალურ დიალექტებს შორის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს. ამ კუთხის ხალხური სიმღერისათვის დამახასიათებელი მრავალხმიანობის ტიპები, ჟანრები, შესრულების ფორმები, საშემსრულებლო სტილი და მანერა მუდამ იწვევდა ტრადიციული მუსიკის მკვლევართა ინტერესს, რომელიც დღემდე არ განელებულა.

გურული ხალხური სიმღერის პირველი ფონოჩანაწერები XX საუკუნის დასაწყისიდან ჩნდება. საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ამ კუთხეში ტრადიციული მუსიკის ფიქსაციისა და შესწავლის მიზნით არაერთი საველე კვლევა ჩატარდა. მრავალრიცხოვნობის მიუხედავად, ჩანაწერებში მამაკაცთა სიმღერებთან შედარებით ქალთა რეპერტუარს ძალზე მცირე ადგილი უკავია.

მოხსენებაში გაგაცნობთ ჩემ მიერ 2020-2021 წლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში – ცხემლისხიდსა და ლიხაურში – ქალი ეთნოფორებისაგან ჩაწერილ მასალებს; წარმოგიდგინთ გურიისა და მეზობელი კუთხეების ქალთა ნიმუშების შედარებით ანალიზს; შევეხები გურულ ქალთა ადგილს სასცენო შემსრულებლობაში; აქვე განვიხილავ გურიაში დღეს არსებული ქალთა ანსამბლების რეპერტუარის საკითხს.



### ჩემი სოფლის სიმღერა

ხალხურ სიმღერას საქართველოს ნებისმიერ კუთხეში ვხვდებით. მოხსენებაში მინდა ვისაუბრო მშობლიური მხარის – იმერეთის სასიმღერო შემოქმედებაზე. მის მცირე ნაწილს წარმოადგენს ჩემი სოფელი რგანი. აქ ხალხური სიმღერის გუნდი სათავეს 1900-იანი წლების დასაწყისიდან იღებს. სწორედ ამ დროს ჩამოყალიბდა 11-კაციანი გუნდი, რომლის შექმნას საფუძველი კირილე გველესიანმა ჩაუყარა. გუნდი დიდხანს მოღვაწეობდა და მრავალი წარმატება მოიპოვა. ერთვებოდა ადგილობრივ სალხინო ღონისძიებებში, ქორწილებში, შრომით სამუშაოებში და თავისი სიმღერით ნებისმიერ რთულ საქმეს ამარტივებდა. ასრულებდა და ქმნიდა საკუთარ ვარიანტებს უძველესი იმერული სიმღერებისა, როგორებიცაა: „მგზავრული“, „ჩავეხტეთ მუხრან ბატონსა“, „ვთოხნოთ და ვთოხნოთ სიმინდი“, „ნადური“ და სხვ. სამაგალითო იყო სხვა სოფლებისთვისაც, სადაც ასეთივე გუნდების ჩამოყალიბებას შეუწყობდა ხელი.

სოფელ რგანის ხანდაზმულთა გუნდის შრომითა და რუდუნებით უძველესმა ხალხურმა სიმღერამ ჩვენამდე მოაღწია. გუნდის წევრების შთამომავლები დღესაც აგრძელებენ ამ სფეროში მოღვაწეობას.

ნინო კერესელიძე

ჭიათურა, ზ. ანჯაფარიძის სახელობის სამუსიკო სკოლა,

პედაგოგი: მაია ბარბაქაძე.

### სოფელი რგანი და რგანული სიმღერები

ჩემი თემა მიზნად ისახავს ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ რგანის და ორი ნაკლებად ცნობილი რგანული სიმღერის ფართო მსმენელისათვის გაცნობას. „რგანულ მგზავრულსა“ და „ჩემო ეკატერინეს“ სოფელში უხუცესები მღეროდნენ. მე ეს სიმღერები შემასწავლა ჩემმა პედაგოგმა, მაია ბარბაქაძემ, რომლის ოჯახშიც ბაბუის შემონახულ სიმღერებს დღესაც მღერიან.

## ბესიკ მახათაძე

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია,

სამაგისტრო პროგრამა *მუსიკისმცოდნეობა*,

სპეციალობა *საეკლესიო მუსიკოლოგია*.

ხელმძღვანელი: ასოც. პროფესორი თამარ ჩხეიძე.

### ლიტურგიკული კითხვის ხელოვნება ქართულ საღვთისმსახურო პრაქტიკაში

მოხსენების მიზანია ღვთისმსახურების პროცესში ლიტურგიკული კითხვის მნიშვნელობის წარმოჩენა ქართულ წყაროებში არსებული მასალის ანალიზის საფუძველზე. განხილულია ქართულ და ბიზანტიურ საღვთისმსახურო პრაქტიკაში ლიტურგიკული წიგნების კითხვის ტრადიციის თავისებურებები და ეკვონექტიკური ნიშნების დანიშნულება. სხვადასხვა პერიოდის (XI, XIII, XIX-XX საუკუნეების) ქართული ისტორიული წყაროებისა და ცნობების მიმოხილვის და ანალიზის საფუძველზე ლიტურგიკული კითხვა წარმოჩენილია, როგორც საეკლესიო ხელოვნება, რომელიც სამგალობლო ხელოვნებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო.

მოხსენებაში მოყვანილია ცნობილი ქართველი სასულიერო და საზოგადო მოღვაწეების შეფასებები, რომლებშიც კარგად ჩანს ლიტურგიკული კითხვის მნიშვნელობა და ამ ტრადიციის შენარჩუნებაზე ზრუნვა.

პროგრამისა და თეზისების შემდგენელ-რედაქტორი: პროფ. ნატალია ზუმბაძე.